

მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია (კონვენციის ახლადშემოწმებული ტექსტი დაამტკიცა FAO-ს კონფერენციამ თავის 29-ე სესიაზე – ნოემბერი, 1997)

პრეამბულა

ხელშემკვრელი მხარეები,

- აღიარებენ რა საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროებას სცენარეთა და მცენარეული პროდუქტების მავნე ორგანიზმების კონტროლის, მათი საერთაშორისოდ გავრცელების პრევენციისა და, განსაკუთრებით კი, რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე გაჩენის თავიდან აცილების მიზნით;
- აღიარებენ რა იმას, რომ ფიტოსანიტარული ღონისძიებები ტექნიკურად გამართლებული და გამჭირვალე უნდა იყოს და არ წარმოადგენდეს თვითნებურ ან დაუსაბუთებელი დისკრიმინაციის, ან შენიღბული შეზღუდვის საშუალებას (განსაკუთრებით საერთაშორისო ვაჭრობის შემთხვევაში);
- გამოთქვამენ რა სურვილს, უზრუნველყონ მჭიდრო თანამშრომლობა იმ ღონისძიებათა კოორდინირების მიზნით, რომლებიც მიმართულია ზემოხსენებული ამოცანების განხორციელებისაკენ;
- გამოთქვამენ რა სურვილს, უზრუნველყონ საფუძველი ჰარმონიზებული ფიტოსანიტარული ღონისძიებების ჩამოყალიბებისა და გამოყენებისთვის, და შეიმუშაონ საერთაშორისო სტანდარტები ამავე მიზნით;
- ითვალისწინებენ რა, მცენარეთა, ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობას, და გარემოს დაცვის საერთაშორისოდ მიღებულ პრინციპებს;
- ეყრდნობიან რა მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების ურუგვას რაუნდის შედეგად დადებულ შეთანხმებებს, მ.შ. შეთანხმებას სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების ჩატარების შესახებ;

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I

მიზანი და პასუხისმგებლობა

1. მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების მავნე ორგანიზმების გავრცელებისა და გაჩენის პრევენციის ერთიანი და ეფექტური ღონისძიებების უზრუნველყოფისა და მავნე ორგანიზმების კონტროლისთვის სათანადო ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით, ხელშემკვრელი მხარეები მიიღებენ საკანონმდებლო, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ ზომებს, რომლებსაც განსაზღვრავს წინამდებარე კონვენცია და დამატებითი შეთანხმებები XVI მუხლის შესაბამიად.
2. თითოეული ხელშემკვრელი მხარე იღებს პასუხისმგებლობას, თავის ტერიტორიაზე შეასრულოს წინამდებარე კონვენციის ყველა მოთხოვნა, ისე, რომ პრობლემა არ შეექმნას სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს.
3. ამ კონვენციის მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლობათა განაწილება FAO-ს წევრ ორგანიზაციებსა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ხელშემკვრელ მხარეებს წარმოადგენენ, უნდა მოხდეს შესაბამისი კომპეტენციების მიხედვით.
4. ხელშემკვრელი მხარეების მოსაზრებებიდან გამომდინარე და საჭიროების შემთხვევაში, წინამდებარე კონვენციის პირობები, მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტების გარდა, ასევე შეიძლება გავრცელდეს შემდეგზე: საწყობები, ტარა, სატრანსპორტო სშუალებები, კონტეინერები, ნიადაგი და რაიმე სხვა ორგანიზმები, ობიექტები ან მასალები, რომლებსაც ძალუძთ მცენარეთა მავნე ორგანიზმების დაფარვა ან გავრცელება (განსაკუთრებით საერთაშორისო გადაზიდვების შემთხვევაში).

მუხლი II

ტერმინთა გამოყენება

1.წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის, შემდეგი ტერმინები გამოყენებულ უნდა იქნეს მათთვის ქვემოთ მინიჭებული მნიშვნელობებით:

„მავნე ორგანიზმების დაბალი გავრცელების ტერიტორია“ – ქვეყნის მთელი ტერიტორია, ქვეყნის ნაწილი ან რამდენიმე ქვეყნის მთლიანი ტერიტორიები ან მათი ნაწილები, რომლებიც უფლებამოსილი ორგანოების მიერ განსაზღვრულია, როგორც ტერიტორია, სადაც კონკრეტული მავნე ორგანიზმები მცირედაა გავრცელებული და, აქვე, ხორციელდება მეთვალყურეობის, კონტროლის ან აღმოფხვრის ეფექტური ღონისძიებები;

„კომისია“ – ფიტოსანიტარულ ღონისძიებათა კომისია, რომელიც შექმნილია XI მუხლის საფუძველზე;

„რისკის ქვეშ მყოფი ტერიტორია“ – ადგილი, სადაც ეკოლოგიური ფაქტორები აღნიშნულ ტერიტორიაზე ისეთი მავნე ორგანიზმების დამკვიდრებას უწყობენ ხელს, რომელიც გამოიწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს;

„დამკვიდრება“ – მავნე ორგანიზმის შემოსავლიდან გარკვეული დროის შემდეგ, მისი სამუდამოდ დაფუძნება ამა თუ იმ ტერიტორიაზე;

„ჰარმონიზებული ფიტოსანიტარული ღონისძიებები“ – ხელშემკვრელი მხარეების მიერ საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე დადგენილი ფიტოსანიტარული ღონისძიებები;

„საერთაშორისო სტანდარტები“ – საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც შექმნილია X მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად;

„გაჩენა“ – მავნე ორგანიზმების შემოსვლა, რასაც მივყავართ მის შემდგომ დამკვიდრებამდე;

„მავნე ორგანიზმები“ – მცენარის, ცხოველის ან დაავადების გადამტანის ნებისმიერი სახეობა, შტამი ან ბიოტიპი, რომელიც აზიანებს მცენარეებს ან მცენარეულ პროდუქტებს;

„მავნე ორგანიზმის რისკის ანალიზი“ – პროცესი, რომლის დროსაც ხდება ბიოლოგიური ან სხვა სამეცნიერო და ეკონომიკური მონაცემების შეფასება, მავნე ორგანიზმების საჭიროების და მის წინააღმდეგ ნებისმიერი ფიტოსანიტარული ღონისძიების სიმძლავრის განსაზღვრის მიზნით;

„ფიტოსანიტარული ღონისძიება“ – ნებისმიერი კონონმდებლობა, რეგულაცია ან ოფიციალური ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს მავნე ორგანიზმების გაჩენის და/ან გავრცელების პრევენციას;

„მცენარეული პროდუქტები“ – მცენარეული წარმოშობის გადაუმუშავებელი მასალა (მ.შ. მარცვლეული) და ის გადამუშავებული პროდუქტები, რომლებიც თავისი ბუნებიდან ან გადამუშავების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, ქმნიდნენ მავნე ორგანიზმების გაჩენისა და გავრცელების რისკს;

„მცენარეები“ – ცოცხალი მცენარეები და მათი ნაწილები (მ.შ. თესლი და გენეტიკური პლაზმა);

„საკარანტინო მავნე ორგანიზმები“ – შესაძლო ეკონომიკური მნიშვნელობის მავნე ორგანიზმი, რომელიც საფრთხეს უქმნის, მაგრამ ჯერ არ ფიქსირდება, ან ფიქსირდება, მაგრამ ფართოდ არაა გავრცელებული და ოფიციალურად არ კონტროლდება ამა თუ იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე;

„რეგიონული სტანდარტები“ – მცენარეთა დაცვის რეგიონული ორგანიზაციის მიერ დადგენილი სტანდარტები, რომლითაც იხელმძღვანელებენ ამ ორგანიზაციის წევრები;

„რეგულირებადი ობიექტი“ – ნებისმიერი მცენარე, მცენარეული პროდუქტი, საწყობი, ტარა, სატრანსპორტო საშუალება, კონტეინერი, ნიადაგი და რომელიმე სხვა ორგანიზმი, ობიექტი ან მასალები, რომლებსაც ძალუძთ მცენარეთა მავნე ორგანიზმების დაფარვა ან გავრცელება (განსაკუთრებით საერთაშორისო გადაზიდვების შემთხვევაში) და რომლებიც საჭიროებენ ფიტოსანიტარულ ღონისძიებებს;

„რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი“ – არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი, რომლის არსებობა სარგავად განკუთვნილ მცენარეებში გავლენას ახდენს ამ მცენარეთა გეგმაზომიერ გამოყენებაზე, ამასთანავე იწვევს ეკონომიკური თვალსაზრისით მიღებულ შედეგს და, შესაბამისად, რეგულირდება ხელშემკვრელი იმპორტიორი მხარის ტერიტორიაზე;

„რეგულირებადი მავნე ორგანიზმი“ – საკარანტინო მავნე ორგანიზმი ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი;

„მდივანი“ – კომისიის მდივანი, რომელიც დანიშნულია XII მუხლის თანახმად;

„ტექნიკურად გამართლებული“ – დასაბუთებული, მავნე ორგანიზმების რისკის ანალიზზე ან, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი სათანადო მეცნიერული ინფორმაციის სხვა ურთიერთშედარებით შემოწმებასა და შეფასებაზე დაყრდნობით.

2. ამ მუხლში მოცემული განმარტებები გამოიყენება მხოლოდ წინამდებარე კონვენციის შემთხვევაში და მათ გავლენა არ უნდა იქონიონ ხელშემკვრელი მხარეების შიდა კანონებსა და დადგენილებებში დადგენილ განმარტებებზე.

მუხლი III

დამოკიდებულება სხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან

ამ კონვენციის არცერთმა პუნქტმა არ უნდა იქონიოს გავლენა ხელშემკვრელი მხარეების მიერ სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებების თანახმად ნაკისრ უფლებებსა და ვალდებულებებზე.

მუხლი IV

ზოგადი დებულებები მცენარეთა დაცვის ეროვნული ორგანიზაციის მოწყობის თაობაზე

1. თითოეულმა ხელშემკვრელმა მხარემ, მაქსიმალურად თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს მცენარეთა დაცვის ოფიციალური ეროვნული ორგანიზაციის მოწყობა. ამ უკანასკნელის ძირითადი პასუხისმგებლობები ამავე მუხლშია ფორმირებული.

2. მცენარეთა დაცვის ოფიციალური ეროვნული ორგანიზაციის პასუხისმგებლობები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) მცენარეების, მცენარეული პროდუქტებისა და სხვა რეგულირებადი ობიექტების ტვირთზე იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარის ფიტოსანიტარული წესების შესაბამისი სერტიფიკატების გაცემა;

ბ) ზრდის პროცესში მყოფი კულტურული მცენარეებისა (მ.შ. მინდვრები, პლანტაციები, სანერგეები, ბაღები, სათბურები და ლაბორატორიები) და ველური ფლორის მეთვალყურეობა; დასაწყობებული და ტრანსპორტირების პროცესში მყოფი მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტების ზედამხედველობა, უმთავრესად, მავნე ორგანიზმების პირველადი შემთხვევების დაფიქსირების, მათი შემოსევისა და გავრცელების შესახებ შეტყობინების, ასევე, აღნიშნული მავნე ორგანიზმების კონტროლისა და VIII მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად შეტყობინების უზრუნველყოფის მიზნით;

გ) მავნე ორგანიზმების გაჩენის და/ან გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, საერთაშორისო გადაზიდვებისას მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტების ტვირთების და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა რეგულირებადი ობიექტების ინსპექტირება;

დ) ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, საერთაშორისო გადაზიდვებისას მცენარეების, მცენარეული პროდუქტებისა და სხვა რეგულირებული ობიექტების მავნე ორგანიზმებისგან გათავისუფლება ან დეზინფიცირება;

ე) რისკის ქვეშ მყოფი ტერიტორიების დაცვა, მათთვის მავნე ორგანიზმებისგან თავისუფალი ტერიტორიების და მავნე ორგანიზმების დაბალი გავრცელების ტერიტორიების სტატუსის მინიჭება, ასევე, მათი შენარჩუნება და მეთვალყურეობა;

ვ) მავნე ორგანიზმების რისკის ანალიზების უზრუნველყოფა;

ზ) ტვირთების შემადგენლობის, ჩანაცვლებისა და ხელახალი ინვაზიის შესახებ სერტიფიცირების შემდეგ, სათანადო პროცედურების გზით მათი ფიტოსანიტარული უსაფრთხოების შენარჩუნება ექსპორტის განხორციელებამდე;

თ) კადრებისთვის სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.

3. თითოეულმა ხელშემკვრელმა მხარემ, მაქსიმალურად თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა ჩამოაყალიბოს დებულებები ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი საკითხების რეგულირების მიზნით:

ა) რეგულირებადი მავნე ორგანიზმების, მათი პრევენციისა და კონტროლის საშუალებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე;

ბ) მცენარეთა დაცვის სფეროში მეცნიერული კვლევის ჩატარება;

გ) ფიტოსანიტარული წესების დადგენა; და

დ) წინამდებარე კონვენციის განხორციელების საჭიროებით განპირობებული სხვა ფუნქციების შესრულება.

4. თითოეულმა ხელშემკვრელმა მხარემ მდივანს უნდა წარუდგინოს მცენარეთა დაცვის ოფიციალური ეროვნული ორგანიზაციისა და მისი ცვლილებების აღწერა. ხელშემკვრელმა მხარემ მცენარეთა დაცვის სფეროს ორგანიზაციული მოწყობის აღწერილობა სხვა ხელშემკვრელ მხარეს უნდა წარუდგინოს, ამ უკანასკნელის თხოვნის საფუძველზე.

მუხლი V

ფიტოსანიტარული სერტიფიკატების გაცემა

1. ფიტოსანიტარული სერტიფიკატების გაცემისთვის თითოეულმა ხელშემკვრელმა მხარემ უნდა ჩამოაყალიბოს მარეგულირებელი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ექსპორტირებული მცენარეების, მცენარეული პროდუქტების, სხვა რეგულირებადი ობიექტებისა და მათი ტვირთების შესაბამისობას სერტიფიკატებში წარმოდგენილ ინფორმაციასთან, რომლის მოწოდებაც ხდება ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. თითოეულმა ხელშემკვრელმა მხარემ ფიტოსანიტარული სერტიფიკატების გაცემის სისტემა უნდა ჩამოაყალიბოს ქვემოთ მოყვანილი დებულებების თანახმად:

ა) ფიტოსანიტარული სერტიფიკატების გაცემის წინ ინსპექტირება და სხვა საფირო სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ მცენარეთა დაცვის ოფიციალური ეროვნული ორგანიზაციის მიერ ან მისი უფლებამოსილების ქვეშ. ფიტოსანიტარული სერტიფიკატები უნდა გასცენ შესაბამისი ტექნიკური კვალიფიკაციის მქონე საჯარო მოხელეებმა, რომელთაც უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ მცენარეთა დაცვის ოფიციალური ეროვნული ორგანიზაციის მიერ, მოქმედებენ მისი სახელით და კონტროლდებიან ამავე ორგანიზაციის მიერ. საჯარო მოხელეები უნდა ფლობდნენ იმ ცოდნასა და ინფორმაციას, რომელიც წარმოადგენს იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარეების შესაბამისი უწყებების მიერ ფიტოსანიტარული სერტიფიკატის, როგორც სარწმუნო და საიმედო დოკუმენტის, მიღების წინაპირობას.

ბ) ფიტოსანიტარული სერტიფიკატები, ან მათი ელექტრონული ვერსიები (თუ მისაღებია იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარისათვის), უნდა ჩამოყალიბდეს ამ კონვენციის დანართში ნაჩვენები ნიმუშების ფორმით. აღნიშნული სერტიფიკატების შევსება და გაცემა უნდა განხორციელდეს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

გ) ტექსტში დაუმოწმებელი ცვლილებების შეტანის ან რაიმეს წაშლის შემთხვევაში სერტიფიკატები ძალას კარგავს.

3. თითოეული ხელშემკვრელი მხარე იღებს პასუხისმგებლობას, რომ არ მოითხოვს წინამდებარე კონვენციის დანართში ნაჩვენები ნიმუშებისაგან განსახვავებულ ფიტოსანიტარულ სერტიფიკატებს მათ ტერიტორიებზე იმპორტირებული მცენარეების, მცენარეული პრეპარატების ან სხვა რეგულირებადი ობიექტების ტვირთების შემთხვევაში. დამატებითი ინფორმაციის ნებისმიერი მოთხოვნა უნდა იყოს მხოლოდ ტექნიკურად გამართლებული.

მუხლი VI

რეგულირებადი მავნე ორგანიზმები

1. ხელშემკვრელ მხარეებს შეიძლება დასჭირდეთ ფიტოსანიტარული ღონისძიებების განხორციელება საკარანტინო მავნე ორგანიზმებისა და რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების შემთხვევაში, იმ პირობით, თუ აღნიშნული ღონისძიებები:

ა) არ არის უფრო მკაცრი, ვიდრე იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე იგივე მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები;

ბ) შემოიფარგლება მხოლოდ იმ ღონისძიებებით, რომელთა გატარებაც აუცილებელია მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვის და / ან მათი გეგმაზომიერი მოხმარების უზრუნველყოფის მიზნით და, ასევე, თუ შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის მიერ გამართლებულია ტექნიკური თვალსაზრისით.

2. დაუშვებელია, ხელშემკვრელმა მხარეებმა მოითხოვონ ფიტოსანიტარული ღონისძიებების გატარება არარეგულირებადი მავნე ორგანიზმების შემთხვევაში.

მუხლი VII

იმპორტთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. რეგულირებადი მავნე ორგანიზმების თავიანთ ტერიტორიებზე გაჩენის და / ან გავრცელების პრევენციის მიზნით, ხელშემკვრელ მხარეებს ენიჭებათ სუვერენული უფლებამოსილება, საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, დაარეგულირონ მცენარეების, მცენარეული პროდუქტებისა და სხვა

რეგულირებადი ობიექტების შესვლა მათ ტერიტორიაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხელშემკვრელმა მხარეებმა შესაძლოა:

ა) განსაზღვრონ და შემოიღონ მცენარეების, მცენარეული პროდუქტებისა და სხვა რეგულირებადი ობიექტების იმპორტთან დაკავშირებული ისეთი ფიტოსანიტარული ღონისძიებები, როგორებიცაა, მაგალითად: ინსპექტირება, იმპორტის აკრძალვა, ან დამუშავება სათანადო საშუალებებით;

ბ) უარი თქვან მცენარეების, მცენარეული პროდუქტების, სხვა რეგულირებადი ობიექტების ან მათი ტვირთების შეტანაზე, დააკაონ, მოითხოვონ სათანადო საშუალებებით დამუშავება, განადგურება ან ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან გატანა, რაც არ შედის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად განსაზღვრულ ან შემოღებულ ღონისძიებებში;

გ) აკრძალონ ან გაამკაცრონ რეგულირებადი მავნე ორგანიზმების მათს ტერიტორიაზე გატანა/გადაადგილება;

დ) აკრძალონ ან გაამკაცრონ ბიოლოგიური კონტროლის ნივთიერებების და ფიტოსანიტარული პრობლემების მქონე სხვა ორგანიზმების შეტანა მაშინაც, როცა ისინი მიჩნეულია სასარგებლოდ მათი ტერიტორიებისათვის.

2. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩარევის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, თითოეული ხელშემკვრელი მხარე, რომელსაც უფლებები ენიჭება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, კისრულობს პასუხისმგებლობას შემდეგი პირობების შესრულებაზე:

ა) ხელშემკვრელმა მხარეებმა, თავიანთი ფიტოსანიტარული კანონმდებლობების ფარგლებში, არ უნდა განახორციელონ ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი არც ერთი ღონისძიება, თუ აღნიშნულის საჭიროება არ გამოკვეთილა ფიტოსანიტარული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე და თუ ღონისძიება არ არის ტექნიკურად გამართლებული;

ბ) ფიტოსანიტარული მოთხოვნების, შეზღუდვებისა და აკრძალვების დაწესებისთანავე, ხელშემკვრელმა მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ მათი გამოქვეყნება და მიწოდება იმ ხელშემკვრელი მხარის ან მხარეებისათვის, რომლებზეც, მათი აზრით, პირდაპირ გავლენას იქონიებს აღნიშნული ღონისძიებები;

გ) ხელშემკვრელმა მხარეებმა, თხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს უნდა წარუდგინონ ფიტოსანიტარული მოთხოვნების, შეზღუდვებისა და აკრძალვების დასაბუთება;

დ) იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარე კონკრეტული მცენარეების ან მცენარეული პროდუქტების იმპორტისას ითხოვს ტვირთის შემოტანას მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული სასაზღვრო პუნქტების გავლით, ეს პუნქტები ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ არ გაჩნდეს ზედმეტი დაბრკოლებები საერთაშორისო ვაჭრობისთვის. ხელშემკვრელმა მხარემ უნდა გამოაქვეყნოს ასეთი სასაზღვრო პუნქტის ნუსხა და მიაწოდოს: მდივანს; მცენარეთა დაცვის ყველა ორგანიზაციას, რომლის წევრიცაა ხელშემკვრელი მხარე; ყველა იმ ხელშემკვრელ მხარეს, რომელზეც, მისი აზრით, პირდაპირ გავლენას იქონიებს ეს გადაწყვეტილება; და სხვა ხელშემკვრელ მხარეებს, მათივე თხოვნის საფუძველზე. ასეთი შეზღუდვების შემოღება სასაზღვრო პუნქტებზე დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსაზღვრულ მცენარეებს, მცენარეულ პროდუქტებს ან სხვა რეგულირებად ობიექტებს მოეთხოვება თან ახლდეს ფიტოსანიტარული სერტიფიკატები ან წარდგენილ უნდა იქნენ ინსპექტირების ან სათანადო საშუალებებით დამუშავებისათვის;

ე) ხელშემკვრელ მხარეს მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის მიერ საიმპორტოდ შემოთავაზებული მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან სხვა რეგულირებადი ობიექტების ტვირთისათვის დაწესებული ნებისმიერი სახის ინსპექტირება ან სხვა ფიტოსანიტარული პროცედურა უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად მოკლე ვადებში, საქონლის მალეფუჭებადობის გათვალისწინებით;

ვ) იმპორტიორმა ხელშემკვრელმა მხარემ შესაბამის ექსპორტიორ ხელშემკვრელ მხარეს, ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის რეექსპორტიორ ხელშემკვრელ მხარეს მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა აცნობოს ის კონკრეტული ფაქტორები, რომელთა გამოც ადგილი აქვს შეუსაბამობას ფიტოსანიტარულ სერტიფიკატთან. შესაბამისმა ექსპორტიორმა ხელშემკვრელმა მხარემ, ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისმა რეექსპორტიორმა ხელშემკვრელმა მხარემ უნდა გამოიკვლიოს აღნიშნული საკითხი და, თხოვნის საფუძველზე, შესაბამის იმპორტიორ ხელშემკვრელ მხარეს შეატყობინოს გამოკვლევის შედეგი;

ზ) ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა დააწესონ მხოლოდ ტექნიკურად გამართლებული ფიტოსანიტარული ღონისძიებები, რომლებიც შეესაბამება მავნე ორგანიზმებთან დაკავშირებული საფრთხის მასშტაბს და, შეძლებისდაგვარად, მინიმალურ შეზღუდვებს ითვალისწინებს. ამ სახის ფიტოსანიტარულმა

ღონისძიებებმა მინიმალურად უნდა შეაფერხოს ადამიანების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საერთაშორისო მოძრაობა;

თ) პირობების შეცვლისა და ახალი ფაქტების გამოვლენის შესაბამისად, ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ფიტოსანიტარული ღონისძიებების სწრაფად შეცვლა ან გაუქმება (თუ საჭიროება აღარ მოითხოვს);

ი) ხელშემკვრელმა მხარეებმა, მაქსიმალურად თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა ჩამოაყალიბონ/განახლონ რეგულირებადი მავნე ორგანიზმების ნუსხები მეცნიერული სახელწოდებების გამოყენებით, და აღნიშნული ჩამონათვალები მიაწოდონ: მდივანს; მცენარეთა დაცვის იმ რეგიონულ ორგანიზაციებს, რომელთა წევრიცაა ხელშემკვრელი მხარე; და სხვა ხელშემკვრელ მხარეებს, მათი თხოვნის საფუძველზე;

კ) ხელშემკვრელმა მხარეებმა, მაქსიმალურად თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა განახორციელონ მავნე ორგანიზმების მეთვალყურეობა, ასევე, მოამზადონ და იქონიონ ინფორმაცია მავნე ორგანიზმებთან დაკავშირებული მდგომარეობის თაობაზე, ყოველივე ეს მიზნად ისახავს მავნე ორგანიზმების კატეგორიზაციის ხელშეწყობასა და სათანადო ფიტოსანიტარული ღონისძიებების შემუშავებას. ეს ინფორმაცია ხელშემკვრელი მხარეებისათვის ხელმისაწვდომი გახდება, მათი თხოვნის შესაბამისად.

3. დასაშვებია, ხელშემკვრელმა მხარემ ამ მუხლით განსაზღვრული ღონისძიებები განახორციელოს ისეთ მავნე ორგანიზმებთან მიმართებაში, რომელთაც არ ძალუძთ მათს ტერიტორიებზე დამკვიდრება, მაგრამ ქვეყანაში შესვლის შემთხვევაში, გამოიწვევენ ეკონომიკურ ზარალს. საჭიროა აღნიშნული მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები იყოს ტექნიურად გამართლებული.

4. ხელშემკვრელმა მხარეებმა ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა განახორციელონ მათ ტერიტორიებზე ტრანზიტით გამავალ ტვირთებთან მიმართებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთი ღონისძიებები ტექნიკურად გამართლებულია და აუცილებელია მავნე ორგანიზმების გაჩენის და/ან გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

5. ამ მუხლის არცერთი დებულება არ აბრკოლებს იმპორტიორ ხელშემკვრელ მხარეებს, დააგინონ განსაკუთრებული პირობა სათანადო დამცავი მექანიზმების უზრუნველყოფად, იმპორტის, სამეცნიერო კვლევის, საგანმანათლებლო ან რაიმე სხვა კონკრეტული მიზნებისთვის, მცენარეების, მცენარეული პროდუქტების, სხვა რეგულირებადი ობიექტებისა და მცენარეთა მავნე ორგანიზმების შემთხვევაში.

6. ამ მუხლის არცერთი დებულება არ აბრკოლებს ხელშემკვრელ მხარეებს, გამოიყენონ საგანგებო ზომები მათი ტერიტორიებისათვის პოტენციურად საშიში მავნე ორგანიზმების გამოვლენისას ან გაკეთონ შეტყობინება მავნე ორგანიზმების დაფიქსირების შესახებ. ნებისმიერი ასეთი ზომის შეფასება უნდა მოხდეს მაქსიმალურად სწრაფად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული საგანგებო ღონისძიებების შემდგომი გაგრძელების გამართლებულობა. მიღებული ზომების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის ხელშემკვრელ მხარეს, მდივანს, და მცენარეთა დაცვის ყველა იმ რეგიონულ ორგანიზაციას, რომლის წევრიცაა ხელშემკვრელი მხარე.

მუხლი VIII

საერთაშორისო თანამშრომლობა

1. კონვენციის მიზნების მისაღწევად, ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ მაქსიმალური ურთიერთთანამშრომლობა, კერძოდ, საჭიროა ხელშემკვრელმა მხარეებმა:

ა) ითანამშრომლონ მცენარეთა ისეთ მავნე ორგანიზმების შესახებ ინფორმაციების გაცვლის კუთხით, რომლებსაც თან სდევს ძალზე სწრაფი ან პოტენციური საფრთხე. პირველ რიგში, იგულისხმება ასეთი მავნე ორგანიზმების გამოვლენის, დიდი რაოდენობით შემოსევის ან გავრცელების შესახებ შეტყობინებების უზრუნველყოფა კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

ბ) მაქსიმალურად მიიღონ მონაწილეობა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ყველა საგანგებო კომპანიაში, როდესაც სერიოზული საფრთხე ექმნება მოსავალს და საგანგებო მდგომარეობის გამო საჭირო ხდება საერთაშორისო დონის ღონისძიება; და

გ) მაქსიმალურად ითანამშრომლონ მავნე ორგანიზმების რისკის ანალიზისათვის საჭირო ტექნიკური და ბიოლოგიური ინფორმაციების უზრუნველყოფის კუთხით.

2. თითოეულმა ხელშემკვრელმა მხარემ უნდა განსაზღვროს საკონტაქტო პირი კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციების ურთიერთგაცვლის მიზნით.

მუხლი IX

მცენარეთა დაცვის რეგიონული ორგანიზაციები

1. ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არიან, ითანამშრომლონ საჭიროებისამებრ განსაზღვრულ ადგილებში მცენარეთა დაცვის რეგიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბების მიზნით.
2. მცენარეთა დაცვის რეგიონული ორგანიზაციები უნდა ასრულებდნენ მაკოორდინირებელი ორგანიზაციების ფუნქციას მათი მანდატით დაფარულ ტერიტორიებზე, მონაწილეობენ კონვენციის მიზნების მიღწევისაკენ მიმართულ ღონისძიებებში, აგროვებდნენ და ავრცელებდნენ ინფორმაციას.
3. კონვენციით დასახული მიზნების მისაღწევად, მცენარეთა დაცვის რეგიონული ორგანიზაციები უნდა თანამშრომლობდნენ მდივანთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მდივანთან და კომისიასთან საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების დროს.
4. მდივანი აწყობს მცენარეთა დაცვის რეგიონული ორგანიზაციის წევრთა რეგულარულ ტექნიკურ კონსულტაციებს შემდეგი მიზნებისათვის:
 - ა) ფიტოსანიტარული ღონისძიებებისათვის სათანადო საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებისა და გამოყენების ხელშეწყობა;
 - ბ) რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა, რათა წახალისდეს მავნე ორგანიზმების კონტროლირებისათვის ჰარმონიზებული ფიტოსანიტარული ღონისძიებები და თავიდან იქნეს აცილებული მავნე ორგანიზმების გავრცელების და/ან გაჩენა.

მუხლი X

სტანდარტები

1. ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, ითანამშრომლონ საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების კუთხით, კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
2. საერთაშორისო სტანდარტებს ამტკიცებს კომისია.
3. რეგიონული სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს ამ კონვენციის პრინციპებს; დასაშვებია, რომ კომისიაში განსახილველად შეტანილ იქნეს ასეთი სტანდარტები, როგორც შემდგომში შესაძლო ფიტოსანიტარულ ღონისძიებათა საერთაშორისო სტანდარტები, თუ მათი არეალი რეგიონულზე უფრო ფართოა.
4. საჭიროებისამებრ, ხელშემკვრელმა მხარეებმა საერთაშორისო სტანდარტები უნდა გაითვალისწინონ ამ კონვენციასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებისას.

მუხლი XI

ფიტოსანიტარულ ღონისძიებათა კომისია

1. ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, შექმნან ფიტოსანიტარულ ღონისძიებათა კომისია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სისტემაში.
2. კომისიის ფუნქციებს შეადგენს კონვენციის მიზნების სრულყოფილად განხორციელების ხელშეწყობა, კერძოდ:
 - ა) მსოფლიოში მცენარეთა დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის განხილვა; მავნე ორგანიზმების საერთაშორისო გავრცელებისა და მათი რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე გაჩენის კონტროლის ღონისძიებების აუცილებლობის განსაზღვრა;
 - ბ) საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის საჭირო ინსტიტუციონალური საკითხებისა და პროცედურების განხილვა და საერთაშორისო სტანდარტების მიღება;
 - გ) დაშვების გადაჭრის წესებისა და პროცედურების დადგენა XIII მუხლის შესაბამისად;
 - დ) კომისიის ისეთი დამხმარე ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომლებიც აუცილებელია კომისიის ფუნქციების სათანადოდ შესასრულებლად;

- ე) მცენარეთა დაცვის რეგიონული ორგანიზაციების აღიარების სახელმძღვანელო პრინციპების დადგენა;
- ვ) ამ კონვენციით რეგულირებად საკითხებზე მომუშავე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარება;
- ზ) კონვენციის შესრულებისათვის აუცილებელი რეკომენდაციების მიღება;
- თ) საჭიროების შემთხვევაში, კონვენციით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი სხვა ფუნქციების განხორციელება.
3. კომისიის წევრობის უფლება ეძლევა ყველა ხელშემკვრელ მხარეს.
4. დასაშვებია, რომ თითოეული მხარე კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც, შესაძლოა, თან ახლდეს ერთი შემცველი, ასევე, ექსპერტები და მრჩეველები. შემცველებს, ექსპერტებსა და მრჩეველებს ეძლევათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ კომისიის მუშაობაში, მაგრამ არ გააჩნიათ ხმის უფლება. ხმის უფლება შემცველს ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სათანადო წესით მიენიჭა უფლებამოსილება, რათა შეცვალოს დელეგატი.
5. ხელშემკვრელმა მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებას კონსენსუსის გზით მიაღწიონ. იმ შემთხვევაში, თუ ამოწურულ იქნა ყველა მექანიზმი კონსენსუსის მისაღწევად, მაგრამ შეთანხმება არ შედგა, უკიდურეს ზომას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება უმრავლესობის, ანუ დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე ხელშემკვრელი მხარეების ორი მესამედის მიერ.
6. FAO-ს წევრი ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს და, ასევე, ამ წევრი ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ ხელშემკვრელ მხარეებს, თავიანთი წევრობის უფლებას უნდა იყენებდნენ და წევრობის საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებს ასრულებდნენ FAO-ს კონსტიტუციისა და ზოგადი წესების თანახმად.
7. დასაშვებია, რომ კომისიამ, საჭიროების შემთხვევაში, დაამტკიცოს და შეცვალოს თავისი პროცედურული წესები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე კონვენციასა და FAO-ს კონსტიტუციას.
8. კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია, მოიწვიოს კომისიის რეგულარული წლიური სესია.
9. კომისიის რიგგარეშე სხდომებს კომისიის თავმჯდომარე იწვევს კომისიის წევრების მინიმუმ ერთი მესამედის თხოვნის საფუძველზე.
10. კომისია ირჩევს თავმჯდომარესა და არ უმეტეს ორ თავმჯდომარის მოადგილეს, რომელთაგან თითოეული მსახურობს 2 წლის ვადით.

მუხლი XII სამდივნო

1. კომისიის მდივანს ნიშნავს FAO-ს გენერალური დირექტორი.
2. მდივანს საქმიანობაში ეხმარებიან სამდივნოს სხვადასხვა თანამშრომლები, საჭიროების მიხედვით.
3. მდივანი პასუხს აგებს კომისიის პოლიტიკისა და საქმიანობის გატარებაზე, ასევე, სხვა იმ ფუნქციების შესრულებაზე, რომელიც შეიძლება დაეკისროს ამ კონვენციის საფუძველზე. მდივანი ანგარიშვალდებულია კომისიის წინაშე.
4. მდივანს ევალება:
- ა) ყველა ხელშემკვრელ მხარეს გაცნოს საერთაშორისო სტანდარტები, მათი მიღებიდან სამოცი დღის ვადაში;
- ბ) ყველა ხელშემკვრელ მხარეს მიაწოდოს VII მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად ხელშემკვრელი მხარეების მიერ განსაზღვრული სასაზღვრო პუნქტების ნუსხები;
- გ) ყველა ხელშემკვრელ მხარეს და, ასევე, მცენარეთა დაცვის რეგიონულ ორგანიზაციებს გაცნოს იმ რეგულირებადი მავნე ორგანიზმების ჩამონათვალები, რომელთა შემვებაც ქვეყანაში იკრძალება ან რომლებიც ნახსენებია VII მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში;
- დ) გაავრცელოს ხელშემკვრელი მხარეებისაგან მიღებული ინფორმაციები ფიტოსანიტარული მოთხოვნების, შეზღუდვებისა და აკრძალვების შესახებ (VII მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად), და მცენარეთა დაცვის ოფიციალური ეროვნული ორგანიზაციების აღწერილობები (IV მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად).

5. მდივანმა უნდა უზრუნველყოს კომისიის შეხვედრების დოკუმენტაციისა და საერთაშორისო სტანდარტების FAO-ს ოფიციალურ ენებზე თარგმნა.
6. კონვენციის მიზნების მისაღწევად, მდივანმა უნდა ითანამშრომლოს მცენარეთა დაცვის რეგიონულ ორგანიზაციებთან.

მუხლი XIII

დავების გადაწყვეტა

1. იმ შემთხვევაში, თუ ამ კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს რაიმე სახის დავას, ან თუ ხელშემკვრელი მხარე თვლის, რომ სხვა ხელშემკვრელი მხარის ესა თუ ის ქმედება წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის V და VII მუხლების თანახმად ამ უკანასკნელის მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მისი ტერიტორიებიდან მომავალი მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან სხვა რეგულირებადი ობიექტების იმპორტის აკრძალვას ან შეზღუდვის საფუძველს), დავის გადაწყვეტის მიზნით ამ ხელშემკვრელმა მხარეებმა მაქსიმალურად სწრაფად უნდა გამართონ ერთმანეთთან კონსულტაციები.
2. თუ დავის გადაწყვეტა ვერ ხერხდება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გზით, მაშინ დასაშვებია, რომ დაინტერესებულმა ხელშემკვრელმა მხარემ ან მხარეებმა მიმართონ FAO-ს გენერალურ დირექტორს, რათა მან დაინიშნოს ექსპერტთა კომიტეტი სადავო საკითხის განსახილველად, კომისიის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების მიხედვით.
3. ამ კომიტეტის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ თითოეული დაინტერესებული ხელშემკვრელი მხარის მიერ მოვლენილი წარმომადგენლები. კომიტეტმა უნდა განიხილოს სადავო საკითხი, ხელშემკვრელი მხარეების მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტისა და სხვა მტკიცებულებათა გათვალისწინებით. დავის გადაწყვეტის მიზნით, კომიტეტმა უნდა მოამზადოს ანგარიში დავის ტექნიკური ასპექტების თაობაზე. ანგარიში უნდა მომზადდეს და დამტკიცდეს კომისიის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და გენერალური დირექტორის მიერ გადაცემულ იქნეს დაინტერესებული ხელშემკვრელი მხარეებისათვის. ასევე, თხოვნის საფუძველზე, ანგარიში შეიძლება გაეგზავნოს სავაჭრო დავების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი საერთაშორისო ორგანიზაციის უფლებამოსილ ორგანოს.
4. ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ ამგვარი კომიტეტის რეკომენდაციები არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, მაგრამ ხელშემკვრელ მხარეებს შორის დავის გამომწვევი საკითხის თაობაზე განსახილველი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს.
5. დაინტერესებულმა ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა გაინაწილონ ექსპერტების მიერ ჩატარებულ სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯები.
6. საჭიროა, ამ მუხლში წარმოდგენილი დებულებები ავსებდეს და არ გამორიცხავდეს სავაჭრო საკითხების მარეგულირებელი სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრულ დავის გადაწყვეტის პროცედურებს.

მუხლი XIV

წინა შეთანხმების ჩანაცვლება

ხელშემკვრელი მხარეებისათვის, წინამდებარე კონვენცია ანაცვლებს და მოქმედებას უწყვეტს 1881 წლის 3 ნოემბრის საერთაშორისო კონვენციას *Phylloxera vastatrix*-ის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ, 1889 წლის 15 აპრილს ბერნში ხელმოწერილ დამატებით კონვენციასა და 1929 წლის 16 აპრილს რომში ხელმოწერილ საერთაშორისო კონვენციას მცენარეთა დაცვის შესახებ.

მუხლი XV

მოქმედება სივრცეში

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია რატიფიკაციის, მიერთების ან შემდგომში ნებისმიერ სხვა დროს, FAO-ს გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს დეკლარაცია, რომ აღნიშნული კონვენცია გავრცელდება იმ ყველა ან ზოგ კონკრეტულ ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობების

წარმართვაზეც თავადაა პასუხისმგებელი, და ასევე, რომ ეს კონვენცია უნდა გავრცელდეს დეკლარაციაში ხსენებულ ყველა ტერიტორიაზე გენერალური დირექტორის მიერ დეკლარაციის მიღებიდან ოცდამეათე დღეს.

2. თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს, რომელსაც FAO-ს გენერალური დირექტორისათვის მიწოდებული აქვს დეკლარაცია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერ დროს შეუძლია წარმოადგინოს მომდევნო დეკლარაცია, რომელსაც ცვლილებები შეაქვს წინამორბედ დეკლარაციაში ან რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიასთან მიმართებაში აჩვენებს ამ კონვენციის დებულებათა მოქმედებას. ამგვარი ცვლილებები ან მოქმედების შეწყვეტა ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ დეკლარაციის მიღებიდან ოცდამეათე დღეს.

3. FAO-ს გენერალურმა დირექტორმა ყველა ხელშემკვრელ მხარეს უნდა შეატყობინოს ამ მუხლის თანახმად მიღებული ყველა დეკლარაციის შესახებ.

მუხლი XVI

დამატებითი შეთანხმებები

1. დასაშვებია, ხელშემკვრელი მხარეები შეუერთდნენ დამატებით შეთანხმებებს მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული იმ კონკრეტული პრობლემების მოგვარების მიზნით, რომლებიც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და რეაგირებას. ამგვარი შეთანხმებები შეიძლება გავრცელდეს კონკრეტულ რეგიონებზე, მავნე ორგანიზმების კონკრეტულ სახეებზე, კონკრეტულ მცენარეებსა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტებზე, მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების საერთაშორისო გადაზიდვების კონკრეტულ მეთოდებზე, ან რაიმე სხვა სახით შეავსოს ამ კონვენციის დებულებები.

2. ნებისმიერი ამგვარი დამატებითი შეთანხმება თითოეული ხელშემკვრელი მხარისათვის ძალაში შედის დამატებითი შეთანხმებების დებულებათა შესაბამისად მათი მიღებისთანავე.

3. დამატებითი შეთანხმებები მოწოდებულია ამ კონვენციის მიზნების განხორციელების ხელშეწყობისათვის და ისინი უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის პრინციპებსა და დებულებებს. ასევე, დამატებითი შეთანხმებები უნდა ესადაგებოდეს გამჭირვალეობის პრინციპს, ამასთან, არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ხასიათის და არ უნდა აწესებდეს შენიღბულ შეზღუდვებს განსაკუთრებით საერთაშორისო ვაჭრობის შემთხვევაში.

მუხლი XVII

რატიფიცირება და მიერთება

1. კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოს მიერ ხელმოსაწერად 1952 წლის 1 მაისამდე და მისი რატიფიცირება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში. სარატიფიკაციო სიგელები უნდა გადაეცეს დეპოზიტარს - FAO-ს გენერალურ დირექტორს, რომელიც ვალდებულია აღნიშნულის მიღების თარიღი აცნობოს ყველა ხელმომწერ სახელმწიფოს.

2. ამ კონვენციის XXII მუხლის შესაბამისად ძალაში შესვლისთანავე, იგი ღიაა მასთან მიერთებისათვის არახელმომწერი სახელმწიფოებისა და FAO-ს წევრი ორგანიზაციებისათვის. კონვენციასთან მიერთებაში ძალაში შედის მას შემდეგ, რაც კონვენციასთან მიერთების სიგელი გადაეცემა FAO-ს გენერალურ დირექტორს, რომელმაც შესაბამისი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს ყველა ხელშემკვრელ მხარეს.

3. როდესაც FAO-ს წევრი ორგანიზაცია ხდება აღნიშნული კონვენციის ხელშემკვრელი მხარე, მან FAO-ს კონსტიტუციის II მუხლის მე-7 პუნქტის დებულებათა თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, კონვენციასთან მიერთების თაობაზე უნდა შეატყობინოს თავისი უფლებამოსილების შესახებ დეკლარაციის მოდიფიცირების ან განმარტების თაობაზე FAO-ს კონსტიტუციის II მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, რაც შესაძლოა საჭირო გახდეს კონვენციის მიღებისას. ამ კონვენციის ნებისმიერ დროს მოსთხოვოს FAO-ს წევრ ორგანიზაციას, რომელიც ასევე ამ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს წარმოადგენს, ინფორმაცია კონვენციის იმ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, რომელიც უნდა განხორციელდეს წევრ ორგანიზაციასა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის. წევრმა ორგანიზაციამ ეს ინფორმაცია უნდა უზრუნველყოს გონივრულ ვადაში.

მუხლი XVIII

არახელშემკვრელი მხარეები

ხელშემკვრელმა მხარეებმა კონვენციის ნებისმიერი არახელშემკვრელი სახელმწიფოები ან FAO-ს წევრი ორგანიზაციები – უნდა წახალისონ, რათა მათ აღიარონ ეს კონვენცია. ასევე, მათ ხელი უნდა შეუწყონ არახელშემკვრელ მხარეებს კონვენციის დებულებათა შესაბამისი ფიტოსანიტარული ღონისძიებების გატარებასა და კონვენციის ფარგლებში მიღებული საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებაში.

მუხლი XIX ენები

1. წინამდებარე კონვენციის აუთენტურ ენებს წარმოადგენს FAO-ს ყველა ოფიციალური ენა.
2. კონვენციის არცერთი დებულება არ უყენებს მოთხოვნას ხელშემკვრელ მხარეებს, დოკუმენტები წარმოადგინონ და დაბეჭდონ ან ასლები უზრუნველყონ არა თავად ხელშემკვრელი მხარის, არამედ სხვა ენაზე (ენებზე), გარდა მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი შემთხვევებისა.
3. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს FAO-ს სულ მცირე ერთ ოფიციალურ ენაზე:
 - ა) IV მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია;
 - ბ) VII მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოდგენილი თავფურცელი, რომელზეც მოცემულია დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული მონაცემები;
 - გ) VII მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „დ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია;
 - დ) VIII მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოსადგენი ინფორმაციის შესახებ ჩანაწერები, რომლებიც გვაწვდის შესაბამისი დოკუმენტების ბიბლიოგრაფიულ მონაცემებსა და მოკლე რეზიუმეს;
 - ე) საკონტაქტო პირებისაგან ინფორმაციის მისაღებად გაკეთებული მოთხოვნები და პასუხები ამ თხოვნებზე (არ შედის თანდართული დოკუმენტები);
 - ვ) ხელშემკვრელი მხარეების მიერ კომისიის შეხვედრებისათვის წარმოდგენილი ნებისმიერი დოკუმენტი.

მუხლი XX ტექნიკური დახმარება

ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ ამ კონვენციის განხორციელების მიზნით, ორმხრივად ან შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით უზრუნველყოფენ ტექნიკურ დახმარებას ხელშემკვრელი მხარეებისათვის, განსაკუთრებით განვითარებადი ხელშემკვრელი მხარეებისათვის.

მუხლი XXI ცვლილებები

1. ხელშემკვრელი მხარის ნებისმიერი წინადადება კონვენციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე უნდა ეცნობოს FAO-ს გენერალურ დირექტორს.
2. FAO-ს გენერალური დირექტორის მიერ ხელშემკვრელი მხარისაგან მიღებული ნებისმიერი წინადადება კონვენციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დასამტკიცებლად წარდგენილ უნდა იქნეს კომისიის მორიგ ან რიგგარეშე სხდომაზე. იმ შემთხვევაში, თუ კონვენციის მოდიფიცირება ითვალისწინებს მნიშვნელოვან ტექნიკურ ცვლილებებს ან ხელშემკვრელი მხარეებისათვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრებას, იგი კომისიის სხდომამდე უნდა განიხილოს FAO-ს სპეციალისტებისაგან შემდგარმა სათათბირო კომიტეტმა.
3. FAO-ს გენერალურმა დირექტორმა შემოთავაზებული ცვლილება კონვენციაში (გარდა დანართის ცვლილებებისა) ხელშემკვრელ მხარეებს უნდა გააცნოს არა უგვიანეს იმ პერიოდისა, როდესაც მათ დაეზავნებათ კომისიის სხდომის დღის წესრიგი, რომელზეც იგეგმება აღნიშნული საკითხის განხილვა.
4. კონვენციის ნებისმიერი შემოთავაზებული ცვლილება საჭიროებს კომისიის მიერ დამტკიცებას. ცვლილება ძალაში შედის ხელშემკვრელი მხარეების ორი მესამედის მიერ მიღებიდან ოცდამეათე დღეს. ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის, FAO-ს წევრი ორგანიზაციის მიერ გადაცემული

დოკუმენტი არ უნდა ჩაითვალოს დამატებად ასეთი ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე.

5. ის ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს ხელშემკვრელი მხრებისათვის ახალი ვალდებულებების დაკისრებას, თითოეული ხელშემკვრელი მხარისათვის ძალაში შედის უშუალოდ მის მიერ ცვლილების დამტკიცებისა და მხოლოდ ასეთი დამტკიცებიდან ოცდამეათე დღეს. ცვლილებების დამტკიცების დოკუმენტები, რომლებიც ახალ ვალდებულებებს ითვალისწინებს, უნდა გადაეცეს FAO-ს გენერალურ დირექტორს, რომელიც ყველა ხელშემკვრელ მხარეს აცნობს როგორც დამტკიცების მიღებას, ასევე ცვლილებების ამოქმედებასაც.

6. კონვენციის დანართში წარმოდგენილ სანიმუშო ფიტოსანიტარულ სერტიფიკატებში ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადებები უნდა გაეგზავნოს მდივანს და დასამტკიცებლად გადაეცეს კომისიას. კონვენციის დანართში წარმოდგენილი ფიტოსანიტარული ცვლილებები ძალაში შედის მდივნის მიერ ხელშემკვრელი მხარეებისათვის გაგზავნილი შეტყობინებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

7. კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, დანართში წარმოდგენილ ფიტოსანიტარული სერტიფიკატების ნიმუშში ცვლილებების შეტანიდან არა უმეტეს თორმეტი თვის განმავლობაში, ძველი ფიტოსანიტარული სერტიფიკატები უნდა ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონედ.

მუხლი XXII
ძალაში შესვლა

სამი ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიცირებისთანავე, იგი ძალაში შედის ამ ხელმომწერ სახელმწიფოთათვის. კონვენცია ძალაში შედის თითოეული სახელმწიფოსა თუ FAO-ს წევრი ორგანიზაციისათვის, რომელიც არატიფიცირებს ან უერთდება ამ კონვენციას, სარატიფიკაციო ან მიერთების სიგელის დეპოზიტარისათვის გადაცემის თარიღიდან.

მუხლი XXIII
დენონსაცია

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, ნებისმიერ დროს შეუძლია, მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია FAO-ს გენერალური დირექტორისათვის კონვენციის დენონსაციის შესახებ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით. გენერალურმა დირექტორმა აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ყველა ხელშემკვრელ მხარეს.

2. კონვენციის დენონსაცია ძალაში შედის FAO-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

დანართი

ფიტოსანიტარული სერტიფიკატის ნიმუში

N _____

_____ მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია

ვის: _____ მცენარეთა დაცვის ორგანიზაციას (ორგანიზაციებს)

I. ტვირთის აღწერილობა

ექსპორტიორის დასახელება და მისამართი: _____

ტვირთის მიღების ოფიციალური დასახელება და მისამართი: _____

შეფუთვების რაოდენობა და აღწერილობა: _____

განსაკუთრებული ნიშნები: _____

წარმოშობის ადგილი: _____

განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებები: _____

განსაზღვრული სასაზღვრო პუნქტი: _____

პროდუქციის დასახელება და რაოდენობა: _____

მცენარეთა ბოტანიკური სახელწოდება: _____

ვადასტურებთ, რომ ამ სერტიფიკატში აღწერილი მცენარეები, მცენარეული პროდუქტები ან სხვა რეგულირებადი ობიექტები ინსპექტირებულია და/ან შემოწმებულია შესაბამისი ოფიციალური პროცედურების თანახმად და მიჩნეულია, რომ ისინი თავისუფალია იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარის მიერ განსაზღვრული საკარანტინო მავნე ორგანიზმებისგან. აღნიშნული მცენარეები, მცენარეული პროდუქტები ან სხვა რეგულირებადი ობიექტები შეესაბამება იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარის ფიტოსანიტარულ მოთხოვნებს (მ.შ. რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების შესახებ).

მიჩნეულია, რომ პროდუქტი, თავისუფალია სხვა მავნე ორგანიზმებისგანაც.*

II. დამატებითი ინფორმაცია

III. დეზინფექცია და/ან სადეზინფექციო დამუშავება

თარიღი _____ დამუშავება _____ ქიმიური პრეპარატი (აქტიური ინგრედიენტი) _____

ხანგრძლივობა და ტემპერატურა _____

კონცენტრაცია _____

დამატებითი ინფორმაცია _____

გაცემის ადგილი _____

(ორგანიზაციის ბეჭედი) უფლებამოსილი მუშაკის ვინაობა _____

თარიღი _____ (ხელმოწერა) _____

ამ სერტიფიკატთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება არ უნდა დაეკისროს _____ (მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის დასახელება) ან მის რომელიმე მუშაკსა თუ წარმომადგენელს.**

**არასავალდებულო პუნქტი

რეექსპორტისათვის განკუთვნილი ფიტოსანიტარული სერტიფიკატის ნიმუში

N _____

_____ მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია

(რეექსპორტის ხელშემკვრელი მხარე)

ვის: _____ მცენარეთა დაცვის ორგანიზაციას (ორგანიზაციებს)

(იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარე ან მხარეები)

I. ტვირთის აღწერილობა

ექსპორტიორის დასახელება და მისამართი: _____

ტვირთის მიმღების ოფიციალური დასახელება / მისამართი _____

შეფუთვების რაოდენობა და აღწერილობა: _____
განსაკუთრებული ნიშნები : _____
წარმოშობის ადგილი: _____
განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებები: _____
განსაზღვრული სასაზღვრო პუნქტი: _____
პუნქტების დასახელება და რაოდენობა: _____
მცენარეთა ბოტანიკური სახელწოდებები: _____

ვადასტურებთ, რომ ზემოთ აღწერილი მცენარეები, მცენარეული წარმოშობის პროდუქტები ან სხვა რეგულირებადი ობიექტები იმპორტირებულია _____აქ____
(რე-ექსპორტიორი ხელშემკვრელი მხარე) _____აქედან_____(წარმოშობის) ხელშემკვრელი მხარე) და მათ თან ახლავს ფიტოსანიტარული სერტიფიკატი N_____, * ორიგინალი #, რომლის დამოწმებული ზუსტი ასლი # თან ახლავს სერტიფიკატს. ტვირთი შეფუთულია #, ხელმეორედ შეფუთულია #, თავდაპირველად ჩატვირთულია * ახალ კონტეინერებში, რომლებიც პირვანდელ ფიტოსანიტარულ სერტიფიკატზე #დაყრდნობით და დამატებითი ინსპექტირების შედეგად #, შეესაბამება იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარის ფიტოსანიტარულ მოთხოვნებს. _____აქ_____ შენახვის პერიოდში (რე-ექსპორტიორი ხელშემკვრელი მხარე), ტვირთი არ დამდგარა მავნე ორგანიზმების შესვლის ან ინფექციის რისკის ქვეშ.

* შეავსეთ შესაბამისი # გრაფები.

IV.დამატებითი ინფორმაცია

V. დეზინფექცია და/ან სადეზინფექციო დამუშავება

თარიღი_____ დამუშავება_____ ქიმიური პრეპარატი (აქტიური ინგრედიენტი)

ხანგრძლივობა და ტემპერატურა_____

კონცენტრაცია_____

დამატებითი ინფორმაცია _____

გაცემის ადგილი _____

(ორგანიზაციის ბეჭედი) უფლებამოსილი მუშაკის ვიზაობა _____

თარიღი_____ (ხელმოწერა)_____

ამ სერტიფიკატთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება არ უნდა დაეკისროს _____
(მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის დასახელება) ან მის რომელიმე მუშაკსა თუ წარმომადგენელს.**

** არასავალდებულო პუნქტი